

UDC 368

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-89-95>

დაზღვევის როლი ბიზნესის სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებაში

თემურ თოიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Temo.toidze@yahoo.com

რეცენზენტები:

მ. ნოზაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: m.nozadze@gtu.ge

მ. ბლიაძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: bliadzemurman05@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში წარმოდგენილია მეცნიერთა ნაშრომები, პუბლიკაციები და შეხედულებები დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ უშუალოდ ბიზნესის სტაბილური განვითარების მიმართულებით. მოყვანილია ისეთი ეკონომისტების, ფინანსისტებისა და მეცნიერთა აზრები, როგორც არის კენთეი ფრუტი, დევიდ კამინსი, მიშელ მ. დენუიტი, ნასიმ ნიკოლას ტალები, რობერტ ე. ჰოიტი და სხვა.

განხილულია ბიზნესის ეკონომიკური არსი და აღნიშნული დაკავშირებულია დაზღვევის არსთან. წარმოდგენილია ის ინდიკატორები, რომლის საფუძველზეც ხდება დაზღვევის როლისა და ზეგავლენის განსაზღვრა მიკრო-, მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობის

კუთხით. ასევე დაზღვევის მნიშვნელობის კიდევ უფრო გასაგებად გაანალიზებულია ის ფუნქციები, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები ასრულებენ როგორც ბიზნესის, ისე მთლიანად ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

უმრავლესობა ნაშრომებისა და მეცნიერთა შეხედულებებისა, რომელიც განხილულია, მიეკუთვნება ბოლო პერიოდს, შესაბამისად ის ახალ მონაცემებზეა დაფუძნებული. ასევე გაანალიზებულია შედარებით ძველი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი მასალები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის განვითარება; დაზღვევა; რისკის მართვა; ფინანსური სტაბილურობა.

შესავალი

მიკრო-, მცირე და საშუალო კომპანიების საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა მოვლენასთან, რომელთაც შეუძლია მათ სტრატეგიებსა თუ მიზნებზე იმოქმედონ როგორც დადებითად, ისე უარყოფიად.

ბიზნესი გლობალურ და ლოკალურ ბაზრებზე ოპერირებისას აწყდება რისკებს, რომელთა მინიმიზაცია და გადალახვა აუცილებელია კონკურენტული პოზიციების შენარჩუნებისა და გამყარებისთვის. დაზღვევის როლი დიდია ბიზნესრისკების მართვის პროცესში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს კრიზისულ პერიოდებთან, როგორც არის სტიქიური უბედურებები, ეკონომიკური ვარდნები, რეცესია და სხვა.

ბიზნესის წარმომადგენლები ცდილობენ შეიმუშაონ რისკის მართვის სტრატეგიები, გამოიყენონ ისეთი ბიზნესრისკების მენეჯმენტის მოდელები, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებს და გამორიცხავს არასასურველი მოვლენების მოხდენის ალბათობასა და მის მიერ მოტანილი ზიანის ოდენობას.

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი კომპანიის მიზანია მიიღოს მოგება, ამისთვის საჭიროა სწორი სტრატეგიის შემუშავება, კვალიფიციური მუშახელი, მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი, ბაზრის სტრუქტურისა და ხარჯების ანალიზი, რისკების შესწავლა და სხვა მრავალი სწორი და დროული გადაწყვეტილების მიღება. მოგების მაქსიმიზაცია ბიზნესს აძლევს სტიმულს, გაანაწილოს რესურსები ეფექტურად, დანერგოს სიახლეები და მოერგოს ცვალებად საბაზრო მოთხოვნებს.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ეფექტურად განხორციელოს საქმიანობა საბაზრო პირობებში. ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორც არის კონკურენცია, ტექნოლოგიური ცვლილებები, რეგულაციები და მომხმარებელთა ქცევა, ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობაა. ბაზარზე ოპერირების დროს ბიზნესს უბდება რისკებთან გამკლავება. განუსაზღვრელობას, გაურკვევლობას, კონკურენციას, ტექნოლოგიურ შეფერხებებს და მარეგულირებელ ცვლილებებს დიდი ზეგავლენა აქვთ კომპანიის საქმიანობაზე.

ადამიანების უმრავლესობა დაზღვევას აღიქვამს როგორც მექანიზმს, რომელიც იცავს მათ სხვადასხვა ფინანსური რისკისგან. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს უბედური შემთხვევებით, უცარი არასასურველი მოვლენების დადგომით და სხვა. დღესდღეობით, თანამედროვე სამყაროში სადაზღვევო ინდუსტრია ასრულებს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში, ფინანსური კუთხით ასევე დიდია დაზღვევის როლი. მრავალი ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ დაზღვევა მცირე და საშუალო ბიზნესს და მთლიანად საზოგადოებას აძლევს უფრო მეტ თავისუფლებას, რათა აკეთონ საქმე უფრო გაბედულად.

რისკების გადაცემა სადაზღვევო კომპანიებზე საშუალებას აძლევს დაზღვეულ კომპანიებს, ფორმების მენეჯმენტს, დამფუძნებლებს იყვნენ უფრო თავდაჯერებულები და ეხმარება მათ, რომ ნაკლები იფიქრონ პოტენციურ საფრთხეებზე და კონცენტრირდნენ საკუთარ ბიზნესზე. როდესაც ბიზნესსუბიექტმა იცის, რომ მისი აქტივები დაცულია და შემცირებულია რისკები, მაშინ ის უფრო დარწმუნებულია თავის

ქმედებებში და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც შეიძლება საერთოდ არ მიეღო დაზღვევის არარსებობის შემთხვევაში. ეს ყველაფერი ეხმარება მას ბაზრის წილის ზრდასა და ხშირად კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.

ფინანსური დაცვა სადაზღვევო მომსახურების მხოლოდ ნაწილია, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი არის ის, რომ დაზღვევა კომპანიას აძლევს

საშუალებას მშვიდად განახორციელოს საქმიანობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ისევე როგორც დიდი კორპორაციები განსხვავებულად ფიქრობენ და მოქმედებენ, როცა იციან, რომ გარკვეული რაოდენობის რისკებსა და პოტენციურ ზარალზე უკვე სადაზღვევო კომპანია ზრუნავს. მოცემული არის უფრო ფსიქოლოგიური მომენტი, რომელსაც დაზღვევა სთავაზობს მომხმარებელს.



სურ. 1. დაზღვევის როლი ბიზნესის უსაფრთხო და სტაბილური განვითარების კუთხით¹

ბიზნესისთვის დაზღვევა ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელიც მორგებულია მათ სპეციფიკურ საჭიროებებსა და რისკებზე.

ერთ-ერთი მთავარი არის რისკის გადაცემის და დაცვის ფუნქცია. როგორც სხვადასხვა ფიზიკური პირი, ისე მიკრო-, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები იყენებენ დაზღვევას, რათა გადასცენ გარკვეული სახის რისკები სადაზღვევო კომპანიას. ხელშეკრულება, რომელიც იდება დამზღვევსა და მზღვეველს შორის უზრუნველყოფს ბიზნესის ფი-

ნანსურ დაცვას იმ რისკებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ბიზნესისთვის იურიდიული ზარკებისა და ზარალის რაოდენობის ზრდა.

შემდეგი და არანაკლებ მნიშვნელოვანი, რომელსაც სადაზღვევო სფერო სთავაზობს ბიზნესს, არის უწყვეტობის ფუნქცია. როდესაც უეცრად დგება ესა თუ ის რისკი, ბიზნესმა სწრაფად უნდა იმოქმედოს, რათა არ დაკარგოს პოზიციები ბაზარზე, შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა და დარჩეს არასასურველ მეტოქედ. „ბიზნესის უწყვეტობის დაზღვევა“ ბიზნესს იცავს და უნაზღაურებს დაკარ-

¹ შედგენილია ავტორის მიერ

გულ შემოსავლებს, მიმდინარე ხარჯებს, რომელიც უშუალოდ იმ პერიოდში განიცადა ფირმამ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენამ შეაფერხა მისი საქმიანობა და ოპერირება ლოკალურ თუ გლობალურ ბაზარზე.

დაზღვევა ეხმარება ბიზნესს მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვასა და შენარჩუნებაში. მოცემული ფუნქცია შეიძლება გამოხატული იყოს ისეთი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პაკეტების შემუშავებაში, რომელსაც სხვა კომპანიები ვერ სთავაზობენ. ყოვლისმომცველი სადაზღვევო შეღავათების შექმნა არა მხოლოდ ეხმარება ბიზნესს ადამიანური რესურსის მოზიდვაში, რაც თანამედროვე ბიზნესსამყაროში ძალიან დიდ როლს ასრულებს, არამედ ასევე უზრუნველყოფს ფინანსურ უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს ანიჭებს, როგორც დასაქმებულებს, ისე მათ ოჯახებს.

სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ დაეხმარონ ბიზნესს, ამა თუ იმ, პოტენციური რისკების შეფასებასა და დანაკარგების ოპტიმიზაციაში, ასევე უზრუნველყონ რეკომენდაციები პოტენციური რისკების ზემოქმედების შესამცირებლად. რისკების პროაქტიულად იდენტიფიცირებითა და წინასწარ განსაზღვრით, ბიზნესს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს მათი მოხდენის ალბათობა და მოცულობა, რაც გამოიწვევს სადაზღვევო პრემიების შემცირებას და რისკების საერთო მართვის გაუმჯობესებას.

ჰარვარდის პრეფესორისა და პუბლიცისტის კენეთ ეი ფრუტის აზრით სადაზღვევო სფერო ბევრად უფრო მეტი სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის, მისი გავლენა სცდება ერთ კონკრეტულ ადამიანს და აღწევს მთლიანად გლობალურ ეკონომიკამდე. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი

არის უსაფრთხოება, რომელსაც დაზღვევის მეშვეობით აღწევენ ბიზნესსუბიექტები [2].

ფრუტი ასევე გვთავაზობს მოსაზრებას, რომ დაზღვევა უზრუნველყოფს ბიზნესს უსაფრთხოების განტანტით. მოცემული ფაქტი კომპანიებს ეხმარება, რომ განახორციელონ უფრო ამბიციური პროექტები და გააკეთონ ინვესტიციები, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მეწარმეობას და ინოვაციებს, აღნიშნული საბოლოოდ ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებაში აისახება [2].

ცნობილი მეცნიერი და ექსპერტი სადაზღვევო ეკონომიკისა და რისკების მართვის სფეროში, დევიდ კამინსი თავის ნაშრომებში წარმოგიდგენს მოსაზრებას, რომ დაზღვევა ასრულებს კრიტიკულ როლს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რადგან ის ამცირებს რისკებს და აჩენს ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. რისკის გადაცემის ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტარტაპებისა და მცირე ბიზნესებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ ფინანსური რესურსები, რათა დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ შედარებით დიდი მოცულობის ზარალს [1].

მიშელ მ. დენუიტმა, ცნობილმა ფიგურამ აქტუარული მეცნიერებისა და სადაზღვევო ეკონომიკის დარგში, ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ დაზღვევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას და საშუალებას აძლევს მათ ფოკუსირება მოახდინონ ძირითად საქმიანობასა და ინვესტიციებზე. დაზღვევის აღნიშნული როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასტაბილურ ან ნაკლებად პროგნოზირებად გარემოში მოქმედი ბიზნესებისთვის, რადგან ის ხელს უწყობს არასასურ-

ველი მოვლენების პოტენციური ზემოქმედების შემცირებას [4].

დღესდღეობით სადაზღვევო სფეროს უზდება ადაპტირება და გამკლავება ისეთ გამოწვევებთან როგორც არის ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები, პანდემიები და სხვა, რაც თავის მხრივ ცვლის მოცემული ბიზნესის სამუშაო სპეციფიკას. დაზღვევა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მექანიზმი. უამრავი მეცნიერი თანხმდება, რომ დაზღვევა უაღრესად რთული, მუდმივად განვითარებადი სფეროა, რომელსაც საფუძვლად უდევს წინასწარ განუსაზღვრელობის, შემთხვევითობის პრინციპი [8].

ნასიმ ნიკოლას ტალები, ცნობილი მეცნიერი და სტატისტიკოსი ამტკიცებს, რომ დაზღვევის ტრადიციული მოდელები ზოგჯერ ვერ აფასებს მოულოდნელი მოვლენების პოტენციურ გავლენას ბიზნესაქმიანობაზე. მზღვეველები ზედმეტად ეყრდნობიან ისტორიულ მონაცემებს და სტატისტიკურ მოდელებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ამა თუ იმ რისკის ადეკვატურად შეფასებას. ტალები ვარაუდობს, რომ დაზღვევამ შეიძლება ბიზნესს ცრუ უსაფრთხოების განცდა შესძინოს, რაც გამოიწვევს რისკების არასაკმარის შეფასებას და პოტენციური დანაკარგის რაოდენობის ზრდას [6].

რობერტ ე. ჰოიტი, გამორჩეული აკადემიკოსი და ექსპერტი დაზღვევისა და რისკის მენეჯმენტში, გვთვავს კრიტიკულ შეხედულებებს თავის ნაშრომებში სადაზღვევო ინდუსტრიის გარკვეული ასპექტების შესახებ. ის აკრიტიკებს სადაზღვევო კომპანიების რისკის მენეჯმენტის სისტემას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს. მისი აზრით, ზემოთ აღნიშნულმა შეიძლება

ხელი შეუწყოს რისკების არაადეკვატურად შეფასებას და არასწორად განსაზღვრას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი ცვლილებები და დანაკარგები ინდუსტრიაში [3].

რიჩარდ ზეკჰაუზერი, გამოჩენილი ეკონომისტი, რომელიც ცნობილია თავისი ნაშრომებით რისკის მენეჯმენტისა და დაზღვევის შესახებ, გვსაუბრება იმ გამოწვევებზე, რომელიც დგას დღეს თანამედროვე სადაზღვევო კომპანიების წინაშე. კერძოდ ინფორმაციის ასიმეტრიულობაზე, რომლის დროსაც მზღვეველებს შეიძლება ჰქონდეთ ნაკლები ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებსაც ისინი ფარავენ, ვიდრე თავად პოტენციურ დამზღვევებს. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის არაეფექტურობა და გააჩინოს არასასურველი შერჩევის პრობლემა. პროფესორ ზეკჰაუზერის აზრით, ტექნოლოგიური აღმოჩენებიდან და ინოვაციების დინამიკიდან გამომდინარე, მალე დადგება დრო, როდესაც საჭირო გახდება ახალი სადაზღვევო სერვისების შექმნა გლობალურ და ლოკალურ ბიზნესბაზარზე ოპერირებადი კომპანიების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად [7].

თანამედროვე ბიზნესგარემოში არსებობს რამდენიმე ინდიკატორი, რომელიც ზომავს სადაზღვევო ინდუსტრიის როლს და აფასებს სადაზღვევო სისტემის განვითარების დონეს ქვეყნის მასშტაბით.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი, სადაზღვევო სისტემის საერთო სურათის კარგად აღსაქმელად ნებისმიერ ქვეყანაში, არის სადაზღვევო შეღწევადობის ინდიკატორის გამოყენება, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: ბიზნესის და ფიზიკური პირების მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიების ჯამური პრემია, გაყოფილი ამავე წლის მთლიან შიდა პროდუქტზე. მოცემული ინდექსი

აჩვენებს და ასახავს დაზღვევის რეალურ სახეს ამა თუ იმ ქვეყანაში.

ოფიციალური წყარო და საკმაოდ სანდო კომპანია Statista.com, რომელიც გვაწვდის ძალიან ზუსტ ბიზნესმონაცემებს და ინფორმაციას სხვადასხვა საკითხზე. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რომელიც ეფუძნება სიცოცხლისა და ბიზნესის დაზღვევის შეღწევადობის ინდიკატორს, 2022 წლის მდგომარეობით წამყვანი ქვეყნების სია ასეთია: რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პირველ ადგილს ტაივანი იკავებს 17,4%-ით, მეორე ადგილს – სამხრეთ აფრიკა 13,7%-ით, მესამეზე არის ამერიკის შეერთებული შტატები 12%-ით და მეოთხეზე – სამხრეთ კორეა 11,6%-იანი სადაზღვევო შეღწევადობის დონით. ცოტა გასაკვირია, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია, კანადა და გაერთიანებული სამეფო, არ შედიან მოცემულ ოთხეულში [5].

დასკვნა

მთლიანობაში, დაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიების უსაფრთხო და სტაბილური განვითარების კუთხით. ბიზნესს ეხმარება რისკების მართვაში, აქტივების სწორად გამოყენებაში, კანონის მოთხოვნების დაცვასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაში მუდმივად ცვალებად

და არაპროგნოზირებად ბიზნესგარემოში ოპერირების პარალელურად.

მიკრო-, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვის ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება მათ საქმიანობაზე და მაქსიმალურად ხელს შეუწყობს კონკურენტული პოზიციების მოპოვებასა და განვითარებას.

მოცემული კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზღვევის როლი განვითარებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე ოპერირებადი კომპანიებისთვის ძალიან დიდია, რადგან ის ბიზნესს იცავს ფინანსური ზიანისგან, ახდენს რისკების მინიმიზაციას, ქმნის სტაბილურ გარემოს, ახალი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს, ახდენს ინოვაციების წახალისებას და სხვა.

კვლევა აჩვენებს, რომ დაზღვევა არის ბიზნეს-რისკების მართვის ფუნდამენტური კომპონენტი, რომელიც იცავს ბიზნესს სხვადასხვა არასასურველი მოვლენისაგან და ანიჭებს მას გარკვეულ უპირატესობებს. აღნიშნული კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად კი აუცილებელია რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, კონტროლი, დასაშვები რისკების მინიმალური დონის განსაზღვრა, ადეკვატური მმართველობითი ქმედებების დაგეგმვა-განხორციელება.

ლიტერატურა

1. Cummins, J. D. (2013). Systemic Risk and the Insurance Industry. Handbook of Insurance , 745-793.
2. Froot, K. (2007). Risk Management, Capital Budgeting and Capital Structure Policy for Insurers and Reinsurers. Journal of Risk and Insurance, 273-299.
3. Hoyt, R. E. (2012). Behavioral Economics and Insurance Decision-Making: Insights for Insurers. Journal of Insurance Regulation, .
4. M.Denuit, R., (2009). Modern Actuarial Risk Theory . Washington D.C: Springer.

5. Rudden, J. (2024, November 1). Finance & Insurance. Retrieved from <https://www.statista.com>.
 6. Taleb, N. N. (2018). Skin in the Game: Hidden Asymmetries in Daily Life. New York: NEW YORK TIMES.
 7. Zeckhauser, R. (2004). Extending the Theory to Meet the Practice of Insurance. Brookings-Wharton Papers on Financial Services, 1–53.
 8. Kakashvili, N. (2021). Insurance case. Tbilisi:
-

UDC 368

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-89-95>

Insurance as a Pillar for Sustainable and Secure Business Development

Temur Toidze

Department of business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: Temo.toidze@yahoo.com

Reviewers:

M. Nozadze, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: m.nozadze@gtu.ge

M. Bliadze, professor, Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU

E-mail: bliadzemurman05@gtu.ge

Abstract. The article presents the works, publications and views of various scholars on the importance of insurance for the stable development of business. It includes the opinions of economists, financiers and scientists such as Kenneth A. Fruit, David Cummins, Michel M. Denuit, Nassim Nicholas Taleb, Robert E. Hoyt and others are presented.

The economic essence of business is discussed and it is related to the role of insurance. The indicators are presented, based on which the role and impact of insurance is determined in terms of promoting the sustainable functioning of micro, small and medium-sized businesses.

Additionally, in order to further understand the importance of insurance, the functions performed by insurance companies in the development of both business and the entire economy are analyzed.

Most of the papers and opinions of scientists that are discussed belong to the recent period, therefore they are based on new data. Relatively old, though no less important, materials are also analyzed.

Keywords: business development; financial stability; insurance; risk management.

განხილვის თარიღი 04.10.2024

შემოსვლის თარიღი 10.12.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025